საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლავრენტი მაღლაკელიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

ლავრენტი მაღლაკელიძის

შეფასების დასაბუთება

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1], 36[3], 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების მახასიათებლის და კომპეტენტურობის მახასიათებლის გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: ლავრენტი მაღლაკელიძე - დაბადებული: 1980 წლის 30 ოქტომბერს, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ), მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი 2013 წელს (თსუ) და დოქტორის აკადემიური ხარისხი 2012წელს (ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, გერმანია), არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე, აქვს სპეციალობით მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 4 წელი და 4 თვე.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 36[3]მუხლის მესამე ნაწილის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების

შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, კანდიდატის მიმართ საანგარიშო პერიოდში სამართალდარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა. იცავს საქმის განხილვის საპროცესო ვადებს. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის კეთილსინდისიერებას, ეთიკურობას. ზემოხსენებული მონაცემების საფუძველზე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი გამოირჩევა გულისხმიერებით, შრომისმოყვარეობით და მოვალეობებისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. გასაუბრებისას გამოიკვეთა გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. შესაბამისად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი.
რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებას კანდიდატის დამოუკიდებლობის და პროფესიონალიზმის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ლავრენტი მაღლაკელიძის მხარედ ან დაზარალებულად ცნობის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. კანდიდატმა ლავრენტი მაღლაკელიძემ გასაუბრებისას გამოავლინა თავდაჭერილობა და ემოციების მართვის უნარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებენ. ერთი რეკომნდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად უთითებს ოდნავ მოჭარბებულ თვითკრიტიკას. ლავრენტი მაღლაკელიძემ პროფესიული საქმიანობის პერიოდში და ასევე გასაუბრების მიმდინარეობისას გამოვლინა მოვალეობებისადმი და პასუხისგებლობის მიმართ შესაბამისი ქცევა. განხილული აქვს რამდენიმე საქმე, რაც მედიის ინტერესებში მოხვდა და გამოითქვა მოსაზრებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. ფინანსური ვალდებულება:

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს მიმდინარე სესხი. საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი და მიწის ნაკვეთი მცხეთის მუნიციპალიტეტში. აგრეთვე, ბინა ქ. თბილისში; უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის

კრიტერიუმის მიხედვით:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;

გ) წერის უნარი - 20 ქულა;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;

ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილი იქნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი, კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 7 ნოემბრის განაჩენი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი. წარმოდგენილი განაჩენების შესწავლით ირკვევა, რომ კანდიდატი ფლობს, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო, ასევე მატერიალურ ნორმებს. გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ კანდიდატი ეცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს

და სხვა ცვლილებეს. კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ცოდნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების. შესაბამისად მიმაჩნია, რომ კანდიდატი ფლობს სამართლის ნორმებს და შესწევს უნარი მათი განმარტებისა.

კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის მიერ სამართლის ნორმების ცოდნის შესაფასებლად ასევე ვიხელმძღვანელე გასაუბრების მიმდინარეობისას სამართლებრივ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გამოვლენილი სამართლებრივი ცოდნით და არგუმენტირებული პასუხებით. ასევე სტატისტიკური მონაცემებით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილებების სტაბილურობის თაობაზე, რაც შეადგენს - 98.5%;

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის შეფასებისას ვიხელმძღვანელე მის მიერ წარმოდგენილი განაჩენებით, გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციით. განაჩენებში მოყვანილი არგუმენტები არის დასაბუთებული, მტკიცებულებები შეფასებულია კანონის შესაბამისად, მოსამართლის მიერ მოყვანილი არგუმენტაცია არის დამაჯერებელი. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა მიმოიხილა სისხლის სამართლის როგორც მატერიალური ისე საპროცესო ნორმები. კანდიდატის პასუხები ძირითადად იყო დასაბუთებული, არგუმენტირებული და დამაჯერებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 18 ქულით.

3. წერის უნარი:

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ, ვასკვნი, რომ აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები ძირითადად გამოყენებულია სწორად. გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის წერის უნარს ვაფასებ 17 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

კანდიდატმა ლავრენტი მაღლაკელიძემ საჯარო მოსმენის დროს ძირითადად გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, მეტყველებდა გამართულად. აზრს გადმოსცემდა გასაგებად და დამაჯერებლად.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 14 ქულით.

5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატი საქმის განხილვის და გადაწყვეტილებების მომზადების საპროცესო ვადების იცავს, გასაუბრების მიმდინარეობისას ძირითადად ინარჩუნებდა სიმშვიდეს.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 13 ქულით.

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა და სასწავლო კურსში, მათ შორის: სამეცნიერო მივლინება - ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში - თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხების

განხილვა, ქართველ სისხლის სამართლის მეცნიერ-იურისტთა პირველი პროფესიული შეხვედრა თსუ, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტი (გერმანია), თანამედროვე სისხლის სასამართლოს დოგმატიკის საკითხები - თსუ, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტი (გერმანია). - თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკის საკითხები - ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი (გერმანია). - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მათ შორის, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები -იუსტიციის სკოლა, გერმანული სასწავლო სისტემის მოწყობა და მუშაობის წესი - სტაჟირება გერმანია ბონი - ტრენინგი თემაზე სწავლების მეთოდოლოგია - USAID და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი პრაქტიკულ საქმიანობას უთავსებს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენას, რაც ხელს უწყობს კვალიფიკაციის ამაღლებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 5 ქულით.

7. პროფესიული აქტივობა:

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი ლავრენტი მაღლაკელიძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში, მათ შორის არის - ასოცირებული პროფესორი სულხან -საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში და 2019 წლიდან არჩეულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. ასევე იყო მოწვეული პროფსორი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში და სხვა.

ლავრენტი მაღლაკელიძე არის ავტორი შემდეგი პუბლიკაციებისა: სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შინაარსი და თავისებურებები'' სტატია კრებულში, გამოძიების შინაარსი და თავისებურებები ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით (სტატია კრებულში), ბრალდებულის შეცდომაში შეყვანის გზით მოპოვებული ინფორმაცია და თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით(სტატია კრებულში), ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით(სტატია კრებულში), არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით (სტატია კრებულში) და სხვა.

სახელმძღვანელოს თანაავტორი - ევროპული სისხლის სამართალი; სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი - სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, ავტორი:

პროფ. მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, ავტორი: პროფ. ირაკლი დვალიძე და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 5 ქულით.

კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ ლავრენტი მაღლაკელიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 90 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე

თარიღი:28.05.2021